

რა უნდა ვიცოდეთ, **COVID-19**-ის გავრცელების საპასუხოდ, საქართველოს ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შესახებ **2020 წლის 3 აპრილის მდგომარეობით**

3 აპრილი, 2020



MAKING AN
IMPACT THAT
MATTERS
since 1845

სარჩევი

ამ საინფორმაციო გზამკვლევის მიზანია, მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე. ის მიზნად არ ისახავს პროფესიონალური სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტაციას და არც ანაცვლებს მას.

ამ საინფორმაციო ბიულეტენზე დაყრდნობით განხორციელებულ ქმედებაზე პასუხს აგებთ თქვენ და მისგან გამოწვეული შესაძლო ზიანისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება დელოიტს. კონკრეტულ შემთხვევებზე უნდა მოიპოვოთ სრული პროფესიონალური სამართლებრივი კონსულტაცია.

შესავალი 3

შეკრების შეზღუდვა 4

მიმოსვლის შეზღუდვა 5

ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა 6

კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული რეგულაციები 8

პასუხისმგებლობა 9



COVID-19-ის გავრცელების საპასუხოდ, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 2020 წლის 21 აპრილამდე გაგრძელდება. პრეზიდენტის დეკრეტი No.1 განსაზღვრავს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს. 2020 წლის 23 მარტს კი საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება No.181, რომელიც დეტალურ შეზღუდვებს ადგენს. ბოლო პერიოდში ეს დადგენილება განახლდა. ძირითადი ცვლილებები მოცემულია პრეზენტაციის შემდეგ სლაიდებზე.

შეკრების შეზღუდვა

როგორია შეზღუდვის ახალი ფარგლები?

შეზღუდვები კიდევ უფრო გამკაცრდა, კერძოდ:

- იკრძალება საჯარო სივრცეში სამზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრა. „საჯარო სივრცე“ გულისხმობს როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ არსებულ ნებისმიერ ადგილს, გარდა კერძო პირთა საცხოვრებელი ადგილებისა;
- იკრძალება ისეთი სოციალური ღონისძიებები (მაგ: ქორწილი), რომლებიც სამზე მეტი პირის თავშეყრას გულისხმობს;
- საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით იკრძალება შეკრება ან/და მანიფესტაცია.

რა გამონაკლისები არსებობს?

შეზღუდვები არ ეხება:

- სამედიცინო დაწესებულებებს, საჯარო დაწესებულებებს;
- სამშენებლო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, თუ ისინი შეთანხმებულია ოპერაციულ შტაბთან (რომელიც პასუხისმგებელია საგანგებო ურთიერთობის მართვაზე).

3-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრა დასაშვებია (1) არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვით და (2) ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მიმოსვლის შეზღუდვა

როგორია შეზღუდვის ახალი ფარგლები?

ძირითადი შეზღუდვები:

- ნებისმიერი საჯარო ტრანსპორტი (საქალაქთაშორისო ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში) შეჩერებულია, რომელიც მოიცავს M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო ავტობუსებსა და მეტროს;
- საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. ამასთან, დაცული უნდა იყოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები (მაგ.: მგზავრების უკანა სავარძელზე განთავსება თუ სალონის მოწყობა ამის შესაძლებლობას იძლევა).
- საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალება 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით.
- 70 წლისა და მეტი ასაკის პირებს ფაქტობრივი/რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის დატოვება აეკრძალებათ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (საცხოვრებელი ადგილის დატოვება სამედიცინო/ფარმაცევტული პროდუქტის შეძენის მიზნით ან იმ სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რომელიც საცხოვრებელ ადგილზე ვერ მიეწოდება);
- საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში ფიზიკური პირი ვალდებულია, ნებისმიერი ფორმის გადაადგილებისას თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულები არიან, მოაწიონ საკონტროლო პუნქტები ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის, ქ. გორის, ქ. ახალციხისა და ქ. თელავის ადმინისტრაციულ საზღვრებთან, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღსაკვეთად.

ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა

საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება გარკვეული ეკონომიკური საქმიანობები. ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობა კი, მიუხედავად ფორმისა და სახისა, უნდა განხორციელდეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად

საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში ნებადართულია ჩამოთვლილი ეკონომიკური საქმიანობები:



- სამედიცინო დაწესებულების საქმიანობა;
- გარკვეული საქონლის (სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების) საცალო რეალიზაცია, წარმოება, შენახვა, საბითუმო ვაჭრობა და დისტრიბუცია, სურსათის შესაფუთი მასალების/ტარის წარმოება;
- წისქვილების, პურ-ფუნთუშეულის საცხობების, რძის მიღება-გადამუშავების საწარმოების საქმიანობა;
- ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოება/გადაცემა/განაწილება/მიწოდება, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდება, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება;
- კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა;
- იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისა და მათი აგენტების საქმიანობა, რომლებიც აწვდიან მომსახურებას თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით;
- ბანკომატების, თვითმომსახურების კიოსკებისა და პოსტტერმინალების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო საქმიანობა;
- საბანკო-საფინანსო პროდუქტების/მომსახურების დისტანციური არხებით მიწოდება/რეალიზაცია;

ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა (გაგრძელება)



- სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება/დისტრიბუცია/რეალიზაცია;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებასა და მეცხოველეობასთან/მეფრინველეობასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურება;
- საკვები პროდუქტის, სურსათისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის/ფარმაცევტული პროდუქტის მიტანის მომსახურება (ე.წ. „დელივერი სერვისი“);
- კერძო დაცვითი საქმიანობა;
- საადვოკატო საქმიანობა;
- ავტოტექნომსახურების გამწევი სუბიექტების საქმიანობა;
- ნავთობის და გაზის მოპოვება, გადამამუშავება;
- ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, თუ იგი ხორციელდება დისტანციურად მხოლოდ სახლიდან (სახლიდან გაუსვლელად).

დადგენილება ასევე განსაზღვრავს „დისტანციური მუშაობის ცნებას“, რაც გულისხმობს მუშაობას სახლიდან ან, კრიტიკულად აუცილებელ შემთხვევებში, სამუშაო ადგილიდან (მაგრამ არაუმეტეს 5 ადამიანისა).

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, დამატებით განსაზღვროს ეკონომიკური საქმიანობების ან/და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების/მეწარმე სუბიექტების ჩამონათვალი. მთავრობამ უკვე მიიღო სამი დანართი, რომლებითაც განისაზღვრა კერძო მეწარმე სუბიექტების ჩამონათვალი, რომელთაც ნებადართული აქვთ ეკონომიკური საქმიანობა, ასევე, ნებადართულ ეკონომიკური საქმიანობების დამატებითი სია.

კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული რეგულაციები

ზოგიერთი იურიდიული და ფიზიკური პირი თავიანთი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებული არიან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პირველივე მოთხოვნისთანავე, დაუთმონ თავიანთი ქონება სახელმწიფოს, შემდეგი ინსტრუქციების გათვალისწინებით:

- **საჰაერო ტრანსპორტირება:** უზრუნველყონ მოთხოვნილი მიმართულებით ჩარტერული ფრენის განხორციელება საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში ჩამოყვანის ან/და შესაბამისი ტვირთის ტრანსპორტირების მიზნით;
- **საგზაო ტრანსპორტირება:** უზრუნველყონ მოთხოვნილი მიმართულებებით (საქართველოს მასშტაბით) შესაბამისი პირების საკარანტინო ზონებში განთავსების მიზნით საავტომობილო ტრანსპორტით გადაყვანა, ან/და შესაბამისი ტვირთის გადაზიდვა დანიშნულების ადგილამდე;
- **განსახლების ობიექტები:** გამოყონ სასტუმრო ან/და განთავსების მსგავსი საშუალებები (უზრუნველყონ ყველა თანმდევი სერვისები) COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, შესაბამისი პირების სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განსათავსებლად და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შესაქმნელად.

პასუხისმგებლობა



პრეზიდენტის დეკრეტი **N1** განსაზღვრავს ამ დეკრეტით ან მთავრობის შესაბამისი დადგენილებების დარღვევის შემთხვევაში შემდგომ პასუხისმგებლობას:

პირველად დარღვევის შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას:

- ფიზიკური პირი: 3000 ლარის ჯარიმა;
- იურიდიული პირი: 15,000 ლარის ჯარიმა.

ქმედების განმეორებით ჩადენისთვის პირს დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა:

- ფიზიკური პირი: თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით;
- იურიდიული პირი: ჯარიმა; საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; ან ლიკვიდაცია და ჯარიმა.

საკონტაქტო ინფორმაცია



გიორგი თავართქილაძე


დირექტორი, საგადასახადო და
იურიდიული დეპარტამენტი
gtavartkiladze@Deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის
უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171, საქართველო
Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
getbiinfo@deloitte.ge
www.deloitte.ge



Deloitte. Legal

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალურ ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს

დელოიტი არის წამყვანი გლობალური მიწოდებელი აუდიტორული, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების. ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დელოიტი დაახლოებით 400-ს ემსახურება, 150-ზე მეტ ქვეყანაში არსებული წევრი კომპანიების მეშვეობით. ჩვენ ვამაყობთ, რომ დელოიტში დასაქმებული 312 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს www.deloitte.com.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. დელოიტის ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.